ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1803373

ნომერი: AR1288007

თარიღი : 11.03.2015

გაცემის თარიღი : 01.04.2015

გაცნობის თარიღი : 01.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მაყაშვილი , N 34 , (ნაკვეთი N1/38) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაკა კვირტია პ/ნ 62001035190
- სოხუმი მშვიდობის გამზ. N 44

ორგანიზაცია:

- შპს "სოლო დეველოპმენტ" კოდი: 401993893

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 მარტის #595210 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 20 თებერვალს #AR1288007 განცხადებით მომართა ზაზა თარგამაძის მინდობილმა პირმა მაკა კვირტიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2013 წლის 29 მარტის #595210 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 მარტის #595210 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), მაყაშვილის ქ. #34–ში (ნაკვ. 1/38) არსებული საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 17 აპრილიდან 2013 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით. სამსახურის 2014 წლის 25 დეკემბრის #1660145 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2013 წლის 29 მარტის #595210 ბრძანებაში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა – 1588.05 კვ.მ, საზაფხულო ფართობად – 627.3 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად – 465.40 კვ.მ, სარდაფის ფართობად – 252.09 კვ.მ, საერთო ფართობად – 2959.64 კვ.მ.

სამსახურის 2013 წლის 29 მარტის #595210 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია ზაზა თარგამაძე. სამსახურში წარმოდგენილი მინდობილობით ზაზა თარგამაძე უფლებამოსილებას ანიჭებს მაკა კვირტიას იყოს მისი, როგორც მენაშენეთა ამხანაგობის „მაყაშვილი“–ს თავმჯდომარის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2013 წლის 29 მარტის #595210 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები. კერძოდ, აუზის ფართობი – 26,8 კვ.მ, რომელიც ცალკე იყო დაფიქსირებული ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში, შედის საზაფხულო ფართობში – 627.3 კვ.მ–ში. შესაბამისად საერთო ფართობი 2959.64 კვ.მ–ის ნაცვლად წარმოადგენს 2932.84 კვ.მ–ს. სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საზაფხულო ფართობი შეადგენს – 627.3 კვ.მ–ს, მათ შორის აუზის ფართობი – 26.8 კვ.მ., საერთო ფართობი 2959.64 კვ.მ–ის ნაცვლად 2932,84 კვ.მ–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაეკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა 2013 წლის 29 მარტის #595210 ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 მარტის #595210 ბრძანებაში, კერძოდ: საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს – 627.3 კვ.მ, მათ შორის აუზის ფართობი – 26.8 კვ.მ., საერთო ფართობად – 2932.84 კვ.მ–ს;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 მარტის #595210 და 2014 წლის 25 დეკემბრის #1660145 ბრძანებებთან ერთად;
3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, #6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.